



გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

8 სექტემბერი
სუთხაბათი
2022 წელი
№36 (9246)
ფასი 40 თეთრი

17 სექტემბერს „ბორჯომ-ქალაქობის“ ზეიმი

ქალაქის დღესასწაული უთავბოლო იქნება!

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი წლის შემოდგომის ბორჯომ-ქალაქობის ზეიმის მოწყობა. ეს დღე ერთნაირად უხარია როგორც ხანდაზმულს, ისე ბავშვს, როგორც ადგილობრივს, ისე სტუმარს. ბორჯომ-ქალაქობა-2022-ს წელსაც დიდი სიხარულით ელოდება საზოგადოება, რადგან სახალხო დღესასწაული აცოცხლებს პატარა ქალაქის იერ-სახეს, სადღესასწაულოდ იცვლება ადამიანების განწყობა.



რა სიხარულით, რა კონკრეტული გასართობ-შემეცნებითი აქტივობები იქნება 17 სექტემბერს გამართულ ქალაქის ზეიმზე ამის შესახებ გვესაუბრება ბორჯომის კულტურის განყოფილების უფროსი შალვა ბორჯომელი.

შალვა ბორჯომელი, რას გვეტყვით ბორჯომ-ქალაქობა-2022-ის სამზადისზე?
- მოხარული ვარ, რომ დაინტერესდით.

ჩვენთვის საზოგადოების დაკვეთაც და შეფასებაც მნიშვნელოვანია. სახალხო დღესასწაულის წლებიდან გზავნილი შემდეგნაირია: ზეიმი 17 სექტემბერს 12 საათზე დაიწყება და გვიან საღამოს ფეიერვერკით დამთავრდება.

მთელი დღის ბოლომდე მოეწყობა ხელნაკეთი სუვენირების გამოფენა-გაყიდვა ქალაქის ცენტრალური პარკის მიმდებარე მოედანზე. ასევე, გამომცემლობები განათავსებენ საინტერესო წიგნების გამოფენა-გაყიდვას. ამ ყველაფრის თანმდევი იქნება მუსიკა განწყობისათვის. რაც შეეხება მთელი დღის მანძილზე სტუმრებისთვის მორგებულ გარემოს, ქუჩის ორკესტრისგან ველოდებით პერფორმანსს, ღია კინოთეატრში ძველი ფილმების რეტროსპექტივას, ნატურის ხესთან სიმბოლურად უნდა ჩაიფიქრონ საკუთარი სურვილები, ზეიმის მონაწილეებს მოეხსახურება საგანგებოდ მოწყობილი „ფოტო კუთხე“ და „გაცოცხლებული სურათები“ ფოტოების გადასაღებად. არც წელს „დაჩაგრებიან“ ბავშვები: სპეციალურ კუთხეებში პატარებს გართობენ ოჩოფხეები, მოსიარულე ქანდაკებები, მიმები და ილუზიონისტები, ნახევარი საათით წარმოდგენით გაახალისებენ თოჯინების თეატრის მსახიობები, მხიარული თამაშებით შეიქცევენ თავს. ბუშტების მასტერკლასითა და საპნის გიგანტური ბუშტის გაშვებით გულს იჯერებენ პანანინები.

ბორჯომობა-2022-ის მთავარი ეტაპია საპატრიო მოქალაქეების შერჩევა, მათი დღის დაფასების მიზნით უკვე ტრადიციად იქცა მათი დაჯილდოება.

- დიას. ეს აუცილებელია და წლიდან წლამდე ხდება საზოგადოებაში აქტიური ღვაწლმოსილი, ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში შეტანილი საამაყო წვლილისთვის მათი შერჩევაც და დაჯილდოების ცერემონია. ეს მცირედი ყურადღება ჩვენი მხრიდან, პატივისცემის უსტია ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისგან. საღამოს, 7 საათზე თქვენ გაიგებთ, თუ ვინ დასახელდებიან ბორჯომის საპატრიო მოქალაქეებად. 8 საათიდან კი გაიმართება გალა კონცერტი ცნობილი სახეების სიმღერებით და ზეიმი გრანდიოზული ფეიერვერკით დასრულდება.

ესაუბრა მონიკა ჭანტურია

იწყება მიწის სისტემური რეპისტრაცია - 2024



1 სექტემბერს, №1 საჯარო სკოლის მიმდებარე სკვერში მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის შესახებ გაიმართა საკონსულტაციო შეხვედრა.

საინტერესო კითხვებზე ამომწურავი პასუხები გაეცა. ამ თემაზე ვრცლად მასალას გაეცანით მეორე გვერდზე.

საბავშვო ბაღებში განახლება სასწავლო-სააღმწერდელი პროცესი

15 სექტემბერს, ბორჯომის მუნიციპალიტეტის მასშტაბით თორმეტივე საბავშვო ბაღში აღმზრდელთა პროცესი განახლდება.



სექტემბერს, საბავშვო ბაღებში სასწავლო პროცესი იწყება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლაში აღმზრდელთა პროცესი განახლდება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლაში აღმზრდელთა პროცესი განახლდება. ბორჯომის მუნიციპალიტეტის სკოლაში აღმზრდელთა პროცესი განახლდება.

დასაწყებად სრულ მზადყოფნაშია. თორმეტივე საბავშვო ბაღი სრულად არის აღჭურვილი საჭირო ინვენტარით და პიტიუნურ-სანიტარული საშუალებებით.

სკოლისაკენ!

15 სექტემბერს საპატრიო საჯარო სკოლაში ახალი სასწავლო წელი იწყება. რა სიხარულით, როგორ მოემზადნენ სკოლაში სასწავლო წლის ორგანიზებაზე დაწყებისათვის ამ საკითხზე ჩვენი გაზეთის მკითხველების მომზადებულ წერილებს გთავაზობთ.

ბორჯომის №4 საჯარო სკოლაში უკვე რამდენიმე თვეა სარეზილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. ახალ 2022 სასწავლო წელს, აღნიშნული სკოლის მოსწავლეები ახალდრეზინგით იტრებულ სკოლის შენობაში უნდა შეხვედროდნენ, თუმცა გარკვეული მიზეზების გამო, სამწუხაროდ, სკოლაში სამუშაოების მიმდინარეობა 6 თვის მანძილზე შეჩერებული იყო. თუმცა, ცოტა ხნის წინ ისევ აღდგა და ამ ეტაპზე სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს. როგორც სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ნინო გელდიაშვილმა გაზეთ „ბორჯომთან“ საუბარში აღნიშნა, სკოლის სრული რეაბილიტაცია 2023 წლის 1 ივნისს დასრულდება და უკვე ახალი სასწავლო წლიდან შეძლებს სკოლა ჩვეულ რეჟიმში მოსწავლეთა მიღებას. მანამდე კი №4 საჯარო სკოლის 180-მდე მოსწავლე ახალ 2022 სასწავლო წელს ისევ ქალაქის №1 და №3 საჯარო სკოლაში გააგრძელებენ.

ბაკურიანის საჯარო სკოლაშიც ამჟამად მიმდინარეობს სარეზილიტაციო სამუშაოები. მიუხედავად ამისა, ბაკურიანელი მოსწავლეებისათვის 15 სექტემბერს დაიწყება სასწავლო პროცესი.

ნაზი ველიძე

სასკოლო ფორმა სკოლებში

მოვიდა 2022-2023 სასწავლო წლის დასაწყისი და დღის წესრიგში დადგა საკითხი ბავშვების ჩაცმა-დახურვისა. მოგეხსენებათ, სასექტებროდ ეს სეროზული ფინანსების მოთხოვნა ოჯახიდან. საშუალოდ, თუ კმედარებით კარგ ხარისხზე გავაკეთებთ ორიენტირს, ერთი შვილის გამოსწავლა სასკოლოდ 300-400 ლარი ჯდება. თუ ორი და მეტი შვილი გყავს, მაშინ ბევრად რთულად შეჭირვებული ოჯახების საქმე. უფროსები იკლებენ მთელი წელი და აკეთებენ დანაზოგს, რომ სკოლისთვის შვილები ისე უზრუნველყონ რომ არ გახდნენ სხვისი დასაცინი, არ შეეღობათ თავმოყვარეობა. ძალიან ძვირადღირებული სკოლაში ამერიკიდან თბილისში ახლოობის შიში გადმოიყვანეს. უკლასებმა ჯერ ფეხსაცმელის ძირის ჩვენება მოსთხოვე - აქოდა, ბრენდული ფეხსაცმელი თუ აცვიაო. მოზარდები კი იცით, როგორ



ფაქტები და მგრძობიარე არიან ასეთი მოპყრობის საპასუხოდ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლებს მისცა სრული ავტონომია ამ კონკრეტული გადამწყვეტილებისა და უთხრა მათ: თუ მშობელი და მოსწავლე იქნება თანახმა, შეგიძლიათ მათ შესთავაზოთ ალტერნატიული ჩაცმულობა სასკოლო ფორმის სახით. თბილისსა და სხვა დიდ ქალაქებში ეს პრაქტიკა უკვე კარგა ხანა დანერგილია, თუმცა უფრო მეტად ვასიან და კერძო სკოლებში. ბორჯომის მუნიციპალიტეტში კი წაღვერის საჯარო სკოლაში პირველი კლასიდან მეთავე კლასის ჩათვლით მესუთე წელია, რაც მოსწავლეები ატარებენ ლამაზ ფორმას: გოგონები კუბოვანი კაბებსა და ბიჭები კუბოვრულ ფილეტებს. ეს ერთგვარი გამოსავალია მშობლის პოზიციიდან, რადგან მას ერთი შვილისთვის ფორმის შეკერვა 120 ლარიდან 150 ლარამდე რაც საერთო ჯამში დიდი შეღავათია. კმაყოფილი მშობელი და ბედნიერი ბავშვი - ეს არის მიზანი. სასკოლო ღონისძიებებში კი განსაკუთრებით ლამაზები არიან ერთ უნიფორმაში ჩაცმული გოგონები. ფსიქოლოგების უახლესი კვლევებიდან ირკვევა, რომ ასეთ გარემოში ნაკლებად არის ბულინგის მაგალითები, დამცირების შემთხვევები. ამ ამბავს აქვს მეორე მხარეც: კომუნისტურ საქართველოში, როცა ყველას ერთნაირი ფორმები გვეცვა, ეს მიმართული იყო იქითკენ, რომ აზროვნებითაც ყველა ერთნაირი უნდა ყყოფილიყავით. თანამედროვე ფსიქოლოგები ღიად წერენ, რომ სკოლაში ფორმის შემოღება და დამკვიდრება ავტორიტარიზმის გადმონაშთი და მცდელობაა, რადგან არ უყვართ, არ უნდათ ვინმე იყოს განსხვავებული. მკითხველი რომელს უფრო დაეთანხმება, ეს თქვენი გადასწყვეტია, მაგრამ მე გაგიზარებთ ჩვენი სკოლის მოსწავლეების და მშობლების უზომო სიხარულს, როცა აღარ აქვთ დამატებითი საფიქრალი ამ დუხჭირ ცხოვრებაში, თუ როგორ და რა ჩაცვან ბავშვს.

თიკო მუსურაძე, მშობელი: სასკოლო ფორმა ჩემ ბავშვობას მახსენებს, როცა ნათლად ჩანდა დისციპლინა. უზომოდ გამეხარდა, რომ სკოლაში მოგვცა არჩევანის საშუალება და მშობლების თანხმობითა და სურვილით სასკოლო ფორმა დანესდა. ბევრად მოწესრიგებული არიან ბავშვები. ჩემ შვილებს ძალიან სიამოვნებათ სასკოლო ფორმის ტარება. მადლობა სკოლის დირექციას, ჩემი შვილის დამოკიდებულებას, რომ ბავშვებში ზრდიან თანასწორობის განცდას.

ნინო რამიშვილი, IX კლასის მოსწავლე: ჩემი აზრით, საჭიროა სკოლაში უნიფორმის ტარება, რადგანაც ერთი შეხედვით ლამაზად არის, ასევე მოსწავლეები ეჩვენებენ დისციპლინას. ერთმანეთს სამოსის გამო არ დასცილებენ და არ დააბულინგებენ. მე ვვიქრობ, რომ ფორმა არ ზღუდავს მოსწავლეს როგორც პიროვნებას და არც მის თვითგამოვლენის საშუალებას უშლის ხელს. მშობლებს ფინანსური შეღავათიც უკეთდებათ, ხელმისაწვდომია ნებისმიერი მოსწავლისთვის. მე მომწონს და პატივს ვცემ ჩემი სკოლის გადამწყვეტილებას - სიამოვნებით ვატარებ ფორმას.

ანი დათუნაშვილი, IX კლასის მოსწავლე: ჩემი აზრით სკოლაში ფორმებით სიარული ძალიან კარგი გადამწყვეტილებაა ყველასთვის. არცერთი ბავშვი არ იქნება ერთმანეთისგან გამორჩეული, არავის გული არ დასწყდება, რომ ვიღაცას მასზე მეტად კარგი ტანისამოსი აცვია და ამ გადამწყვეტილებით თითოეული ბავშვი თანასწორი ვიქნებით ერთმანეთთან.

მასალა მოამზადა მონიკა ჭანტურია

ახალდაბის სოციალურ-პროექტული განვითარების კონცეფცია

ჩემი ხანგრძლივი საპროექტო-სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში ტერიტორიული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან სერიოზული შეხება მქონია, ცხოვრების 50 წელი ბორჯომის ახალდაბასთან მკაცრ-პირებს, უკვე 5 წელია ყოველი წლის ნახევარს მისიდან-ოქტომბრის ჩათვლით ახალდაბაში ვატარებ. კარგად ვიცნობ ბორჯომს, მის საკურორტო ადგილებს ამიტომ მათ მაგალითზე ვეცდები ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბებას.

საქართველოში ოფიციალურად 80-მდე ტურისტული ლოკაციაა აღნუსხული, სადაც შეიძლება ტურისტული ინფრასტრუქტურა გაგანივთარდეს, მათ შორისაა ბორჯომის ხეობა, სადაც შესაძლებელია ტურიზმის გამაჯანსაღებელ-სარეაბილიტაციო დიდი შაბი გახდეს რეგიონში.

ტურისტული ნაკადები მომავალში მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდება. სამსუხაროდ ქალაქ ბორჯომს ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით თავისუფალი ტერიტორიები აღარ გააჩნია, ამიტომ ბორჯომის ხეობის დასახლებები ტურისტულ ლოკაციად უნდა განვითარდეს სახელმწიფოს ხელშეწყობითა და ინვესტიციების მოზიდვით.

ბორჯომი XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა კურორტად. იმ პერიოდში დაიწყო მისი ახალი განაშენიანება. მოხერხებულ ადგილზე გაშენდა რეკრეაციული დანიშნულების მსოფლიოში ცნობილი ისტორიული ბორჯომ-პარკი. ბორჯომის ხეობის სხვა დასახლებებს - ახალდაბას, კორტანეთს, ზანავს, რველსა და გვირგვინს რეკრეაციული ზონები კულტურისა და დასვენების პარკის სახით არ გააჩნია, მაგალითად, ახალდაბაში სამი-ოთხი სკვერა და ერთი ცოტა მარადილი მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ მეომართა პატივსაცემად მოწყობილი მემორიალური პარკი.

ამ მიზნით ახალდაბელებმა ერთმანეთის აზრების შეჯერებით 2021 წელს შევადგინეთ „ახალდაბის სოციალ-ეკონომიკური განვითარების კონცეფცია“ და გადავწყვიტეთ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (შპს) „ბორჯომის კარიბჭე“ ჩამოყალიბება. ასევე მეგობრებში დავინყეთ ნიადაგის მოსინჯვა იდეებისა და მოსაზრებების რეალიზების მიმართულებით. ბორჯომის ხელმძღვანელი პირები დადებითად განწყობენ კონცეფციისადმი, დაგვპირდნენ დახმარებასაც. ოპტიმისტური განწყობით ჩვენი შეხედულებები გავუზიარეთ ჩვენს ნაცნობ ხუროთმოძღვრულ (არქიტექტორ-მშენებელთა) ავტორიტეტულ ჯგუფებსაც, რომლებიც ჩვენთან ერთად ერთგულად ემსახურებიან ინვესტორებს და ჩვენც დაგვპირდნენ მონაწილეობა მიიღონ კონცეფციის დაპროექტება-მშენებლობებშიც.


სამსუხაროდ, საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური სიტუაციების გამო ქართველი ბიზნესმენების ნაწილი თავიანთ კაპიტალს უცხოეთის ქვეყნებს ახმარენ და უფრო დაცულადაც გრძნობენ თავს. საქართველოს მთავრობას და მოსახლეობასაც ტურიზმის კლასიკურ ქვეყნად, მაგალითად შევი-

ცარია მიაჩნიათ. შევიცარიის ტერიტორია 41285 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 2018-2020 წლის სტატისტიკური მონაცემებით შეადგენს 10 მილიონ 230 ათას ადამიანს, დედაქალაქ ციურისში 409 ათასი მოსახლეა. საქართველოს ტერიტორიის ფართობი 69700 კვადრატული კილომეტრია, მოსახლეობა 3 მილიონ 730 ათასი, თბილისში კი 1 მილიონ 115 ათასი ადამიანი სახლობს. ამრიგად, ორივე ქვეყანა მხოლოდ მთაგორიანობით ემსგავსება ერთმანეთს, სოფლებიც მთის ფერდობზეა შეფენილი, ხოლო განვითარების მხრივ შევიცარია მნიშვნელოვნად უსწრებს საქართველოს.

სამსუხაროდ, ჩვენი ინფრასტრუქტურა არასწორად ვითარდება. მაგალითად XIX საუკუნიდან მონაწილე ევროპის ქვეყნების დედაქალაქების საზღვრები არ გაფართოებულა, მოსახლეობის რაოდენობა იზრდებოდა ქალაქს შიდა რეკონსტრუქციის, ძველი და ახალი შენობების დაშლისა და უფრო მეტ სართულიანი თანამედროვე შენობების აშენებით.

რადგან ბორჯომის მუნიციპალიტეტის ერთი მონაკვეთის ბორჯომის ხეობის დასახლებებზე ვსაუბრობთ, მიგვაჩნია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი დასახლებების ტერიტორიული გაფართოება უნდა მოხდეს არა ბორჯომ-ახალდაბის გზატკეცილის გასწვრივ, არამედ განვიად, - თვალწარმტაცი ბუნების ნიაღში. ახალდაბაში რეკრეაციული ზონის შექმნისას ყველაზე ხელსაყრელ ლოკაციად გამოდგება მტკვრის ნაპირზე არსებული, ყოფილი საავიჯო ფაბრიკის ტერიტორია. მისი ფართობია 28895 კვადრატული მეტრი. საკითხი საკუთრების სხდომებზეც არაერთხელ დაისვა ამ ტერიტორიაზე პარკის მოწყობის თაობაზე. სამაგიეროდ, გადაწყვიტეს 1900-1950 წლებში მოქმედი პარკის აღდგენა ყოფილი რკინიგზის სადგურის შენობის გაგრძელებაზე მტკვარსა და რკინიგზის ლიანდაგებს შორის.

ჯამში ორივე ნაკვეთის ფართობი 40 ათასი კვადრატული მეტრია. დამსვენებლები დასვენებისა და გართობის პერიოდს უფრო პარამონიულად, პროდუქტიულად და სანატორიულად აღიქვამენ. ასევე ამავე ტერიტორიაზე ჩაიდგმება საცურაო აუზი გასასხდელეობითა და ტრენაჟორებით, რესტორანი, მრავალმხრივი გამოყენების საკონცერტო დარ-



ბაზი, მის ფარგლებში გასართობი ცენტრი, ხოლო ლია სივრცეში ატრაქციონები იქნება. ახალდაბის მომავალი პარკის შესასვლელიდან მანძილი ბორჯომ-პარკამდე 12 კილომეტრია. თუ ახალდაბაში ასეთი პარკი მოეწყობა თვით ბორჯომში და ბორჯომის ხეობაში დამსვენებლებისათვისაც მისაღები გახდება ახალდაბაში სტუმრობა, ბორჯომი კი მნიშვნელოვნად განვითარდება გართობის მოყვარული ვიზიტორებისათვის.

ამჟამად ახალდაბის სკოლასა და საბავშვო ბაღის შენობებს შორის ფეხბურთის სტადიონია, აქვეა საჭიდაო არენა, კალათბურთის, ჩოგბურთისა და ფრენბურთის მოედნები. ახალდაბას ყოველ ზაფხულში სტუმრობენ ახალგაზრდული სპორტული ჯგუფები. აქ მრავალადა მცირე ტევადობის ოჯახური სასტუმროები, სადაც ცხოვრების, ვარჯიშისა და დასვენების უფრო მშვიდი გარემოა. ახალდაბას არც ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები და არც ისტორიული ძეგლები აკლია.

თვითონ ახალდაბელებიც ზრუნავენ თავიანთი სახლების განახლებაზე, ხს ლობებს ცვლიან დეკორატიული რკინბეჭტონის ან კოთონის ფურცლოვანი ჯვბირებით, ცენტრალური და ძირითადი ქუჩების სავალი ნაწილები მოასფალტებულია. აქვე 400 მეტრში გოგირდის წყლების აბანოა. მას სისტემატურად სტუმრობენ სპორტსმენები. ყველა ოჯახს გააჩნია ცხელი წყალი და აბაზანა. ეს აბანო მათთვისაც და მათთან გაჩერებული დამსვენებლებისათვის პოპულარობით სარგებლობს.

ახალდაბას მთის წყაროების დიდი მარაგი გააჩნია. ფუნქციონირებს სასმელი წყლის ქსელი, ასევე უბნებში შემორჩენილია მთის ფერდობებიდან გადმოდინილი წყაროები, ვაკე ადგილებზე ეზოებში ჭებიცაა შემორჩენილი. ამიტომ მაცხოვრებლებიცა და დამსვენებლებიც თვითონ ირჩევენ რომელი წყალი დალიონ, რომელზე მოამზადონ სადილი, წყლის დეფიციტი არ არის. ერთერთ საუბრნალო სტატისტიკა ეკონომიკის სპეციალისტი იოსებ არჩვაძე წერდა, რომ სასმელი წყლის ექსპორტი ნავთობზე მომგებიანიაო. სასმელი წყლის დიდი მარაგთან ერთად, ნეტურის ხეობაში ასევე მინერალური წყლებიცაა. დასადგენია მათი დეპეტი, თუ მისაღები იქნება. აქ შესაძლებელია მინერალის ჩამოსასხმელის ქარხნის აშენება. არის სხვა საკითხებიც, რომლებიც საფუძვლიანად აისახება ახალდაბის განვითარების კონცეფციაში.

რეაზ მახვილაძე, პროფესორი

რეაზი მახვილაძე: ახალდაბის განვითარების კონცეფციაში აუცილებლად უნდა აისახოს ხის დამუშავების ტრადიციული დარგის აღორძინება. ახალდაბელები ისტორიულად მებეჭელებად ჩამოყალიბდნენ და ღირსეული წვლილი შექონდათ დაბაში არსებულ მავიჯო ფაბრიკის მუშაობაში. ხის ოსტატები დღესაც ცხოვრობენ ახალდაბაში. მცირე მენარმოების კუთხით ხის დამუშავება, ავეჯი და ხის ნივთების წარმოება დაგინყებას არ უნდა მიეცეს.

დაიწყო მინის სისხამური რეგისტრაციის რეფორმა

რას ნიშნავს სისხამური რეგისტრაცია?
სისტემური რეგისტრაცია არის პროცესი, როდესაც სახელმწიფო საკუთარი ინიციატივით, სისტემური წესით ახორციელებს კონკრეტულ არეალზე მინის ნაკვეთების აზომვას და დოკუმენტების მოძიებას.



მინის სისხამური რეგისტრაცია მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო.
2022-2024 წლებში მინის ნაკვეთები სისტემური წესით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდება (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი ფოთი).

საი წლის განმავლობაში რეგისტრაციის განხორციელება მოხდება?
სამუშაოების თანმიმდევრობა განისაზღვრა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, რომელიც წინასწარ დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: napr.gov.ge

სისხამური რეგისტრაციის ფარგლებში რას უნდა ველოდეთ მოსახლეობისთვის?

- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების მოძიება და სისტემატიზაცია;
- საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის მომზადება;
- საკადასტრო მონაცემების ცვლილება;
- საჯარო რეესტრში მინის ნაკვეთის რეგისტრაცია;
- საკადასტრო აგეგმვითი-აზომვითი ნახაზის გარეშე რეგისტრირებული მინის ნაკვეთის დაზუსტება;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- დავების გადაწყვეტა (სანოტარო მედიაცია);
- მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ და თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავად შეასრულებს ყველა იმ პროცედურას, რომელიც აჭირავს ნაკვეთის რეგისტრაციისთვის და თქვენ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში სიარული და დამატებითი სარჯის განება არარ მოგიწევთ.

აღნიშნულ პროცესში თქვენ უნდა დაელოდოთ თქვენსავე დასახლებაში სისტემური რეგისტრაციის სამუშაოების დაწყებას და ადგილზე მოსულ საჯარო რეესტრის ამზომველთა ჯგუფებს ნაკვეთების საზღვრები კონკრეტულად მიუთითოთ.

სისხამური რეგისტრაციის ფარგლებში რას უნდა ველოდეთ მოსახლეობისთვის?

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მინის ნაკვეთები რეგისტრირდება, როგორც საკუთრების ან მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, ასევე თვითნებურად დაკავებული მინის ნაკვეთები.

რა ფართი შეიძლება იყოს აღიარებული ჯამრად ერთი მინის ნაკვეთი?

აღიარებული მინის ნაკვეთების ჯამური ფართობი (ითვლება აღიარების კომისიის მიერ უკვე აღიარებული ფართობებიც) ერთ ფიზიკურ პირზე ან კომლზე (კომლის წევრებზე) ბარში არ უნდა აღემატებოდეს 1,25ჰა-ს, ხოლო მალაღმთიან დასახლებაში - 5 ჰა-ს.

რა ეტაპებს ითვალისწინებს სისხამური რეგისტრაცია?

მინის აზომვა დოკუმენტების მოძიება საჯარო გამოცხადება რეგისტრაცია

თქვენ ოფისში მისვლის გარეშე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელს ადგილზე წარმოუდგენთ თქვენს ხელთ არსებულ საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტს.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საველე ჯგუფები მინის ნაკვეთებს უფასოდ აზომვენ და მინის ნაკვეთის ადგილზე დოკუმენტების ოქმს ელექტრონულად შევსებენ.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები აკონტროლებენ და ადგილზე ამოწმებენ აზომვითი ნახაზების ხარისხს.

აზომილი მინის ნაკვეთების შესახებ ინფორმაციას და საკადასტრო რუკები ადგილობრივი მუნიციპალიტეტის შენობაში 1 თვის ვადით საჯაროდ გამოქვეყნდება; ასევე, პარალელურად, ელექტრონულად განთავსდება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებგვერდზე (www.napr.gov.ge).

თქვენ შეგეძლება მინის ნაკვეთის შესახებ ინფორმაციას 1 თვის განმავლობაში გავცნოთ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მონაცემებს არ ეთანხმებით, წარადგინოთ მონაცემების გადამოწმების მოთხოვნის თაობაზე დასაბუთებული განცხადება. მონაცემების გადამოწმების დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თქვენი მონაწილეობით, მინის ნაკვეთს განმეორებით აზომავს.

არსებული დოკუმენტის საფუძველზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მინის ნაკვეთს არეგისტრირებს და გასცემს ამონაწერს.

უფლებების დადასტურება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ:

- მინის მიღება-ჩაბარების აქტი,
- მებაღეობის ამხანაგობის მიერ გაცემული მებარის ნიგნაკი;
- მინის სისტემური რეგისტრაციის სააღრიცხვო ბარათი;
- საკომლო ნიგნიდან ამონაწერი;
- ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივში მინის აღრიცხვის დამადასტურებელი ცნობა-დახასიათება;
- მინის განაწილების სია,
- მინის ნაკვეთის მიმდგრების აქტი,
- სასამართლოს აქტი;
- სხვა დოკუმენტი, რომლითაც მინის ნაკვეთზე საკუთრების უფლება ან მისი მართლზომიერი მფლობელობა დასტურდება, მათ შორის, მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული საკუთრების უფლების მოწმობა და ა.შ.


თუ არ მაქვს საკუთარი რეგისტრაციის დადასტურებული დოკუმენტი?

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თვითნებურად დაკავებულ მინის ნაკვეთზე საკუთრების აღიარების საკითხს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ჩართულობის გარეშე განიხილავს.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2022-2024 წლებში სისტემური წესით ეტაპობრივად აზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) არსებულ მინის ნაკვეთებს დაარეგისტრირებს.

ტყე და ტყის ხანძრები

საქართველოს ტყის ფონდი სულ 1 800 000 ჰა-ს მოიცავს. ტყეები რომ ჩვენი ფილტვებია, ამას ახსნა არ უნდა. ტყე გვძლევს უანგბადს და საკვებს, წინვითი ტყეები გამოყოფენ ფიტონციდებს, რაც აქტიურად ნმენდს პაერს. ფიტონციდები უანგბადის ბიოლოგიურ აქტივობას უზღავს, ხელს უწყობენ მტერის ნაწილაკების დალევას, არიან ანტიბაქტერიული თვისების მქონე მცენარეული ანტიბიოტიკები უწოდებენ, ამიტომ დიდ როლს თამაშობენ დაავადების პროფილაქტიკაში, გამსაკუთრებით სასუნთქ სისტემის რიგში დაავადებებისას. ფიტონციდები უზღავს ადამიანის განწყობას, მის შრომისუნარიანობას. მათი არსებობა ცნობილი იყო იოგებისთვისაც, რასაც ისინი „ჰრანას“ - ენერჯის უწყობდნენ. სწორედ ესენაა ფიტონციდები! განსაკუთრებით ბევრ ფიტონციდებს ქმნიან **წიწვოვანი მცენარეები**, რითაც მდიდარია ბორჯომის და აბასთუმის ტყეები (ლიბანი და აბასთუმანი). ისინი ტუბერკულოზის სამკურნალოდ გამოიყენება. ჩვენს ტყეებში რიგი ფიტონციდები ასევე „აფროსობენ“ მწერებს და მღრღნელებს. მათ ასევე გამოყოფენ ოთახის მცენარეებიც: ბეგონიები - 40%, ქროზანთემები - 66%.



ტყის მნიშვნელობაზე ეს არ იქნება ამომწურავი პასუხი, თუ არ დავძინებ, რომ ტყე ფესვთა სისტემით აკავებს ნიადაგის ეროზიულ პროცესებს, ის ქმნის დიდ ბიომრავალფეროვნებას და საუკეთესო საბინადრო გარემოს უქმნის ცხოველებს, ფრინველებს და ყველა ცოცხალ სისტემას. ტყე დეკორატიული დანიშნულებისაა და ავეჯის წარმოებას საუკეთესო ხის მერქანს ითხოვს. დღემდე ის რჩება, როგორც საშენი და სასწავლი მასალა, ქალაქის და სკიპოდრის წარმოების ძირითადი რესურსი. მისგან ამზადებენ საუკეთესო არომატიზატორებს, ეთერზეთებს.

ეს ყოველივე იმიტომ, რომ სრული წარმოდგენა შევუქმნა მკითხველს ტყის უდიდეს მნიშვნელობაზე: თუ არ იქნება ტყე, არ იქნება წყალი, რითაც ასე მდიდარია ჩვენი რეგიონი. **ბორჯომის მინერალური-ნახშირწყავა-ტუტიანი სამკურნალო წყალი**, წყალი, რომელიც ტყის არ უდებს ვიშის წყალს (საფრანგეთი). მისი სამკურნალო მნიშვნელობა განუზომელია კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების მკურნალობის საქმეში. ბორჯომის ტყეებით შექმნილი განსაკუთრებული მიკროკლიმატი უნიკალურია რიგი დაავადებების სამკურნალოდ. გვახსოვდეს ფრთხილ გამოთქმა: **„ტყე შეუნახე შეილებსა!“** თუ არ ჩვეუფრთხილდით, არ დაგზოვთ ჩვენი სიმდიდრე, რას დაგზოვთ შთამომავლებსა?

რამდენადაც დიდაა ტყეების მნიშვნელობა, იმდენად დიდაა ტყის ხანძრების მხრე მოსალოდნელი საფრთხეები, რაც არაერთხელ გამოსცადა ბორჯომში. ეს ესაა 12 დღიანი ხანძარი მძვინვარება ქვაბისხე-ზორეთის ტყის მასივებში, შემდეგ კი ბორჯომ-ბარაგაულის ეროვნული პარკის ლიკნის მიდამოებში. აღნიშნულ ფაქტზე ვაცნობ საქმეზე მონაწილის ლიდერს ქალბატონ **ნინო ჩაბაძაძეს** და ვთხოვე აქტიურად ჩაბმულიყო ხანძრის ქრობის პროცესებში... რადგან საკუთარი თვლით ვიხილე ეს საშიშროება და ყურით მოვისმინე ადგილობრივ მოსახლეთა აზრი შექმნილ სიტუაციაზე, თუ როგორ დაგვიანდა რეაგირება ხანძრის ქრობის სამუშაოებზე, რადგან პასუხი ასეთი იყო შემოდან: **„ხანძარმა დიდი მასშტაბი უნდა მიიღოს, ქრობაში ვტყუარებთ რომ ჩაერთონ“**... კომენტარის გარეშე... ამ დროს კი ნადავრდება უნიკალური ტყე და ქრობის პროცესი უპართავი ხდება. ასევე, ისაობა ტყის ბიომრავალფეროვნება, მთელი ეკოსისტემები... მისი რეგენერაცია კი ხანგრძლივი და რთული პროცესია. ხანძრებისას იწყება ცხოველთა და ფრინველთა მიგრაცია, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ტყის მენეჯმენტის სწორი წარმოება, რაც პრაქტიკულად არ ხდება საქართველოში!!! (მწვანე ალტერნატივა“ ირ. მატყარაშვილი). ტყის რევიორმა საქართველოში 1999 წლიდან არ განხორციელებულა. ტყის დიდი კომ-

აგის, ცხოველ ბატონ ლევან გოციროძის შემდეგ-

ბევრი მიზნით, მაგრამ მთავარს ჩამოვთვლი **ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებიდან**, რაც უნდა ხდებოდეს: ფოთლოვანი ტყის ზოლების დარგვა, თხრობების, ტყეში მისასვლელი გზების გაყვანა, ტყის ხარჩენების გამოტანა, ასე რომ აძლიერებს წვის პროცესს, რაც პრაქტიკულად არ ხდება ბორჯომის ტყეებში. ამას ემატება უამრავი გამხარი ტყის მასა, რაც ქერქაჭამისა და ლაფანჭამის მავნელობის შედეგია. მის საწინააღმდეგოდ კი ერთეული **ფერო-მონტი** არასაკმარისია. ასეთი ხეების დროულ მოჭრას და გამოტანას გამუდმებით ვითხოვ (ყველა მთავრობის დროს), როგორც საქართველოს **„მწვანეთა მოძრაობის“ რეგიონალური კორდინატორი**, მაგრამ ამაოდ... ჩემი სმარჩება „ხმა მღალაღებლისა უდაბნოსა შინა“... ასევე არაერთხელ გავილაშქრე ტყის უკანონო ჭრასა და ქალაქის ტერიტორიაზე ხეების უმოწყალო ჭრის შემთხვევებზე, რაზედაც მატყარაშვილი (მასალა)... ამაზეც თავს იხართლებენ, რადგან ბორჯომის საკრებულოს გარემოსდაცვითი კომისიის აქვს ამაზე ხეების მოჭრის დასკვნა კომისიის წევრების ხელმოწერით... (ამ კომისიაში კი არცერთი კომპეტენტური პირი - ეკოლოგი, ან ბიოლოგი არაა). ეს ფაქტი კი ყველაფერზე მეტყველებს! უკვე 16 წელია ვწერ და ვაპროტესტებ ტყის უკანონო ჭრას, რადგან ეს აჩანავებს ტყეს... ამ პრობლემის გადაჭრის გზა კი რაიონის სრული გაზოფიცირება, რაზედაც დროა იზრუნოს რაიონის ხელმძღვანელებმა, რადგან ტყე ჩვენი სიმდიდრეა, ის ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს და წყალთან ერთად ბორჯომს უნიკალურ **კურორტის სახელს უნარჩუნებს**.

არანაკლებ ზიანდება ტყე ბრაკონიერებისაგან, რომლებიც ფარულად ჭრან და სახერხ „ცეცხებში“ ამუშავებენ სამსალე მერქანს გასაყიდად, კერძო მიზნებისათვის. იქ დაგროვილი ნახერხი კი ცეცხლსაშიშა! (ესეც საკუთარი მოკვლეებით მოვიძიე ასეთი „ცეცხები“, არაერთხელ ჩვენს ტყეებში!.. (პოლიციის წინ კი უდმძვივად დგანან საუკეთესო ხით დატვირთული მანქანები!.. იქნებ მითხრას ვინმე: მერე დაკავებას რაღა აზრი აქვს?... ხე უკვე მოჭრილია! ზარალი სავალალოა... (იქნებ აწყობთ კიდევ კვალის დასაფარად გარკვეულ უწყებებს ასეთი მასშტაბური ხანძრები...?)

სავალალო დღეშია ბორჯომის თვალმარგალიტი პლატონო!.. მახსენდება დიდი და მწვანე აქცია ბორჯომის **ასოდე-ცეცხლ პლატონზე** 2017 წელს, როდესაც თვით გარემოსდაცვის მინისტრი ჩამოვიდა. ამ აქციას ყველა ტელეარხი იღებდა და დიდი ხმაურით გამოიწვია! განსაკუთრებით გადახმვარ დაბანაღლერის ტყის მონაკვეთებზე, სადაც მინისტრმა ტყის აღდგენის გეგმაზე გამოთქვა აზრი: „აქ მალე მასიურად დაირგვება ნარგავები და ტყე აღდგებაო“, რაზედაც ჩემი საკადროსი პასუხი მიიღო: „ბატონო მინისტრო, რამდენადაც ვიცი, თქვენ იურისტი ხართ, მე კი ბიოლოგი და ეკოლოგი, ვინ უკვთ ერკვევა ტყის აღდგენის საკითხებში?!.. თუ იცით, რომ ნიადაგის აღდგენას მინიმუმ საუკუნე სჭირდება...?“

გადარჩენილი ტყე უარესად რომ არ განადგურდეს, ძირითად ალტერნატიულ გზად ამ პრობლემის გადაჭრის საქმეში რაიონის **სრული გაზოფიცირება**! დროა რაიონის ხელმძღვანელებმა დროულად იფიქროს მის მოგვარებაზე, რაც საგრძნობლად დაზოგავს ტყეს, - ჩვენს უდიდეს სიმდიდრეს და სიამაყეს!.. ასევე მათ უნდა მოახდინონ **ტყის სწორი მენეჯმენტი** და აწარმოონ **პერმანენტული მონიტორინგი**, რათა აღარ მოხდეს მცავის ხანძრები. დროა მაქსიმალურად დაასაქმონ რიგმა უწყებებმა თანამშრომლები და ყველამ ვიზრუნოთ ჩვენს ტყეზე.

მარიკა ჰიქია,
ბიოლოგი, ეკოლოგი.
საქართველოს „მწვანეთა მოძრაობის“ რეგიონალური კორდინატორი.

ქალაქი ჩემპიონობას უძიზნებდნენ, მაგრამ...



20-30 აგვისტოს ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო საქალაქო ტურნირი მოზარდი ასაკის მოჭადრაკეებისათვის. მასში ბორჯომიდან მონაწილეობდნენ დები: **ბარბარე და ელენე შონიები**. 9 წლის ბარბარე 10 წლამდე ასაკის მოზარდებთან - გოგონებთან და ბიჭებთან ასპარეზობდა, 7 წლის ელენე კი 8 წლამდე ასაკის გოგონებთან. ბარბარეს წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იცან: არის

მოსწავლეთა შორის ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზორი, საქართველოს ორგზის ჩემპიონი და თბილისის ჩემპიონი. შარშან ბათუმის ფესტივალშიც გაიმარჯვა. აჯერადაც ჩემპიონობას უძიზნებდა, ბოლო პარტიაში ვაეს ეთამაშებოდა და პარტია მოსაგებიც ჰქონდა, მაგრამ უხეში შეცდომა დაუშვა და დამარცხდა. ქულებით მას წამოწინა ერთ-ერთი გოგონა, რომელთანაც ბარბარეს მოგებული ჰქონდა, თუმცა კოეფიციენტის შევანების მიხედვით, საწმუსაროდ, ბარბარეს მეტოქეს მიენჭა პირველი ადგილი და ჩემპიონობა.

შვიდი წლის ელენეც კი ჯერ ასეთი წარმატებისთვის არ მიუღწევია მან პირველ-მეორე ადგილი გაიყო ერთ-ერთ მეტოქე გოგონასთან, მაგრამ აქაც კოეფიციენტმა დატოვა მეორე ადგილზე. თუმცა, ვიმეორებ, ეს მისთვის დიდი მიღწევაა და მომავალში ბარბარესთან ერთად ელენესგანაც დიდ წარმატებებს მოველით.

უსაფი ჯანოიკაშვილი
მწვთნელი

როგორც უსუქირიძის განხილვა

1 სექტემბერი რობერტ ცუცქერიძის დაბადების დღეა. კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს, კაცი თხემით ტრფამდე საქართველოს და ქართველი ერის სიყვარულით გულმტკბილი. იყო რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, პრემიის ლაურეატი, აფხაზეთისა და სამარალის ომების მონაწილე. ბატონი რობერტი დამსახურებისმებრ არჩეული იყო ბორჯომის საბატონი მოქალაქედ... ბორჯომში დაიბადა და გაიზარდა, ოქროს მედალზე დაამთავრა **№1 საშუალო სკოლა**, ნიუელ დიპლომზე კი პეტერბურგის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ბატონმა რობერტმა სტუდენტობის დროს დააფუძნა და ხელმძღვანელობდა ჟურნალ „პირველი სხვის“, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 6 წელი იმუშავა პეტერბურგის ტელევიზიაში ჟურნალისტად. ბატონი რობერტი წლების მანძილზე მუშაობდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის პრესცენტრის ხელმძღვანელად. იგი გახლდათ ავტორი არაერთი ლექსისა და ჩანახატისა, რომელიც ქვეყნებშია როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ პრესაში. გათავაზობთ ბორჯომზე უზომოდ შეყვარებული პიროვნების ერთ-ერთ ლექსს:

ჩემი ბორჯომი


მე ჩემი მღვრე მტკვარი მიყვარს და ჩემი ბორჯომის მწვანე ქუჩები, ჩემი ხეობის სუნთქვის ვიფიცავ და მის სიყვარულში დავიწერები. ოცნებით მუდამ ბორჯომში დავალ, მიყვებით ბილიკს პეტრეს ცინისკენ, ჭაღარა ცინის ქონგურზე ავალ და მკერდს გადავშლი სხვათა ციმციმზე. მერე ხეობას გულში ჩავსხვავებ, კამკამა წყაროს დავეწაფები და მერე, როცა ბინდი დადგება, ფიჭვ-ნაძენარებთან ლამეც დაგჩრები. და როცა დილით მზე გამიცინებს, ახალგაზრდული ეშხით ვიმღვრებ, მნამს, მარადმწვანე ფიჭვ-ნაძენარებში, გული არასდროს იგრძნობს სიბერეს. დე, სიყვარულით გული ინვოდეს, ნურც გამიქრება პირზე ღიმილი, მე უბორჯომოდ არ მსურს სიცოცხლე და უბორჯომოდ არ მსურს სიყვდილი.



როგორც უსუქირიძის

კოჭა (ზაალ) ლორთქიფანიძის მოსაზრონარი

ვინც მიცნობს, იცის, რომ ჩემი ოჯახის წევრებზე საჯაროდ წერა არ მიყვარს, მაგრამ დღეს გამორჩეული დღეა: **ზუსტად 100 წლის** წინ, 30 აგვისტოს, დაიბადა ჩემი მამა - **კოჭა (ზაალ) ლორთქიფანიძე**, არაჩვეულებრივი პედაგოგის ვახლ ლორთქიფანიძის და საოცარი ქალბატონის ტატიანა კიკნაძის ოჯახში. მამას არ ჰქონია ოლი ტოფრება. მეოთხე კლასში იყო მამა რომ დაკარგა ბებია ვაჭრად უნდა ჩაუდგა ოჯახს სათავეში და არაფერი მოუკლია სამი შვილისათვის... მამა 19 წლისა ოშიმ წავიდა და იქიდან 22 წლისა (ძალი ფეხით დაბარუნდა - (სიცოცხლის ბოლომდე ოჯახის წევრებს არ ახსოვდათ, რომელი ფეხი არ ჰქონდა მამას, რადგან ეს არაფერს ნიშნავდა ჩვენთვის, და ეს საოცრად ახარებდა) არავითარი სასონარკვეთა... იმდენად ძლიერი სულის ადამიანი იყო, მალე სტუდენტი გახდა, დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მეტყვეის სპეციალობით; დაოჯახდა ბორჯომში სამუშაოდ ჩამოსულ ექიმ-სტომატოლოგზე მავალა თადეიშვილზე და როგორცაც ნატრობდა, ისეთი ოჯახი შექმნა.



მამა სულით ხორცამდე მეტყვე იყო. ყველაზე დიდხანს პლატოს სატყეოს ხელმძღვანელობდა. ყველა ხეს და ნერგს დაფოფინებდა, ფეხით უვლიდა მთელ ტყეს, დანთებულ ცეცხლს თუ დანახავდა, მკაცრი და შეუვალი ხდებოდა. ათასჯერ გადაამონებდა სოლმე საშიშროება ხომ არ ელოდა ტყეს მომავალ თაობებზე უნდა შეეუნახოთო ტყე და მთელი უბნის ბავშვებს წავიყვანდა, უღამაზეს ადგილებს გავჩვენებდა, ტყეს ვასუფთავებდით, ნერგებს ვუვლიდით და ტყის მოფ-

რთილებას ვწაგლობდით. ახლა რომ პლატონზე გავულო, ალბათ გული გაუჩერდებოდა მის ნალოლიაებულ ტყეს ასეთს რომ ნახავდა... მამას არაჩვეულებრივი სამეგობრო შეგავდა, ისინი გასაოცრად მღეროდნენ... **კაკო ვეფხვაძე** - **წარმატებული** გიგი ანდლეუ-ლაძე დათო **წარწვლიანი**, ლევან - **გოციანიძე**, კირილი - **წერვაძე**, იმედიანა - **მოისმენია** ასეთი სხვათა შეწყობა... მათი მოსმენა ზემო იყო. თუ მათ ჩემი ბიძა საამო, რომელიც საოცარი მომღერალი იყო და სანაწილო კიკნაძეები დაემატებოდნენ, ეს უკვე სიმღერის, არაორდინალური სადღეგრძელოების, ლექსების და გამორჩეული იუმორის ნამდვილი დღესასწაული იყო... ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო ამ გარემოსთან შეხება... მე დედაჩემი 96 წელი უნდა ვიცოცხლო, 100 თუ არაო, ამაზე და, მაგრამ ცხოვრებამ ისევ დიდი დარტყმები მიამყნა, ყველაფერ ახლობელი ადამიანები დაკარგა: ჩემი ბებია, მამიდა, დედა, ბიძა... ბოლო წლები შვილიშვილების ზრუნვასა და სიყვარულში გაატარა, მათი სისარულით ხარობდა... ასევე სიხარულის ცრემლი გაუფრთხილდა სოლმე თვლებში, როცა ჩემი სამეგობრო სიმღერას უსმენდა... წლების მანძილზე ალფრთოვანებას იწვევდა ჩემში პიროვნული სიძლიერე, სიცოცხლის და ადამიანების სიყვარული, გასაოცარი ერთგულება კაცისა, რომელიც დღეს 100 წლის გახდა... დაბადების დღეს გილოვებ მამა! **ნინო ლორთქიფანიძე**, ბორჯომის №8 სკოლის შედგოგი, ბორჯომის საბატონი მოქალაქე.

ანდრია პრეველნოვების სახელობის ტაძრის წინამძღვარი მამა გერასიმე და ამავე ტაძრის მრავალრიცხოვანი მრევლი თანაგრძობნებენ იზა სუციშვილს მუღლის გარდაცვალების გამო.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
მისამართი: ბორჯომი, ფალაშვილის ქ. №2 ტელ 22-29-65. იბეჭდება შპს გამოცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეფდორე მღვდლის ქ. №67.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე